

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #35

ქ. თბილისი

2023 წელი, 21 სექტემბერი, 16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა გოგოლაძე, კონსტანტინე ზარნაძე, ლილე ლიპარტელიანი, საბა ბუაძე, მამუკა გუგუშაშვილი, ნინო წულაძე, ოთარ გრიგოლია,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

ზაზა თავაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ლევან მიქავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
მარიამ კვერნაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე
ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე
ოთარ ჩიტაძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე
გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032326258-03- 19.09.2023)
2.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324974-03 06.09.2023)

3.	ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03232471-03 04.09.2023)
4.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032325458-03 11.09.2023)
5.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.006, ფართობი - 1 860 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324413-03 01.09.2023)
6.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა №75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქუჩის შესახვევი №14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, №14; ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს №2 და №3 სახლების მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.18.09.002.052, ფართობი - 7149 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324740-03 04.09.2023)
7.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ვახტანგ ცინცამის ქუჩა, №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324741-03 04.09.2023)
8.	ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქ. N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.112, ფართობი - 668 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032326383-03 - 20.09.2023)
9.	ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი, გლდანის VI მ/რ, მ. ხერგიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.001.023, ფართობი - 2 184 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032326385-03 - 20.09.2023)
10.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032324414-03 01.09.2023; №12-032324412-03 01.09.2023; №12-03232501-03 07.09.2023; №12-03232511-03 08.09.2023; №12-032326380-03 - 20.09.2023; №12-032326389-03 - 20.09.2023)

11.	ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032325137-03 08.09.2023)
12.	ქ. თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.32.026; №81.02.32.114; №81.02.32.115; №81.02.32.051; №81.02.32.008; №81.02.32.022; №81.02.32.023; №81.02.32.024; №81.02.32.025; №81.02.32.027; №81.02.32.042; №81.02.32.045; №81.02.32.164) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032325139-03 08.09.2023)
13.	ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032325147-03 08.09.2023)
14.	ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.008; №01.10.06.022.007-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032325148-03 08.09.2023)
15.	ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1; N3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.014.003; N01.13.01.014.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032325161-03 08.09.2023)
16.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.580; №72.16.15.582; №72.16.15.445; №72.16.15.805; №72.16.33.070; №72.16.15.584; №72.16.15.585; №72.16.23.669) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032324739-03 04.09.2023)
17.	ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, № 19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.905) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032325138-03 08.09.2023)
18.	„ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევის“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“-ს“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03232491-03 - 06.09.2023)

19.	<p>ქალაქ თბილისში, დიდ დილომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დილომის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N285 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისა და „ქალაქ თბილისში, დიდ დილომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დილომის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N283 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032326395-03 - 20.09.2023)</p>
20.	<p>ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.16.08.005.117; N01.16.08.005.109; N01.16.08.006.110) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326397-03 - 20.09.2023)</p>
21.	<p>„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032326396-03 - 20.09.2023)</p>
22.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისში, „ხოდაბუნების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.17.979; N72.16.21.078; N72.16.21.071; N01.72.16.096.001; N72.16.17.542; N72.16.21.978) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326394-03 - 20.09.2023)</p>
23.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326393-03 - 20.09.2023)</p>

24.	„ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326392-03 - 20.09.2023)
25.	„ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326391-03 - 20.09.2023)
26.	„ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326388-03 - 20.09.2023)
27.	ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკი, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032326387-03 - 20.09.2023)
28.	ქალაქ თბილისში, სოფელი წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326386-03 - 20.09.2023)
29.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/ნ 205584820) მიმართ მისამართზე: - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ: N01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდაჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032326390-03 - 20.09.2023)

30.	შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. (საკრებულოს №12-032326390-03 - 20.09.2023)
-----	--

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032326258-03-19.09.2023)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავამ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები 9 459,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გრანტების ნაწილში უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 130,0 ათასი ლარით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 9 459,1 ათასი ლარით და შეადგენს 1 833 083,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 5 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 485,5 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 5 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 453,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 210,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 1 050,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 1 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით,

ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 295,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 400,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 280,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 250,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 430,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 219,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 70,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 45,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 60,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 195,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების): ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 300,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 55,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 140,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) - 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 255,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 000,0 ათასი ლარით, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) - 100,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) - 10,2 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 3 680,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 240,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) - 15,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) - 50,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) - 17,0 ათასი ლარით. მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 15,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 545,5 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 355,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 10,2 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) - 3 551,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 690,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 17,0 ათასი ლარით, თბილისის

ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 660,3 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 1 920,6 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 6 631,5 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (10 48) - 6 000,0 ათასი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 695 289,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 635 189,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 872 224,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 208 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 26 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი - 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი - 622 224,4 ათასი ლარი გრანტები 475 112,8 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 557,8 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 34 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 287 852,2 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 20 743,9 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 60 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 111 847,7 ათასი ლარი; მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 18 095,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები - 8 465,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 833 083,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 350 533,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 454 036,9 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 28 513,4 ათასი ლარი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 284 656,0 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 394 036,9 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 454 036,9 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება - 60 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (137 894,2) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება - 137 894,2 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 137 794,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (28 513,4) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 28 513,4 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (109 380,8) ათასი ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანი, ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324974-03 06.09.2023)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2023 წლის 6 სექტემბრის N23.1313.1457 განკარგულებით და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული, მშენებარე მდგომარეობაში არსებული, საცხოვრებელი დანიშნულების უძრავი ქონების (ბინა) მოქალაქეებისათვის: თამილა მურვანიძე (პ/ნ: 33001018747), ზაზა ზაუტაშვილი (01027033406) და მარიამ ზაუტაშვილი (პ/ნ: N01027033407) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართად განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, შემდეგი საპრივატიზებო პირობით: „ქონების შემძენი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს (უთმობს) თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური საბინაო - საექსპლოატაციო ნაწილის (ს.ს.ნ.) 2004 წლის 18 ოქტომბრის N003/2 ორდერით განსაზღვრულ ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა ს/ქ3, კორპუსი 115-ში მდებარე ბინა N1 ორი ოთახი, ფართით - 34.0 კვ.მ. (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.19.005.209 (ძველი საკადასტრო კოდი: 01.19.19.005.204) / თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური საბინაო - საექსპლოატაციო ნაწილის (ს.ს.ნ.) 2004 წლის 18 ოქტომბრის N001/2 ორდერით განსაზღვრულ ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა ს/ქ 3, კორპუსი 115-ში მდებარე ბინა N2, ორი ოთახი, ფართით - 34.0 კვ.მ.ს-თან (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.19.005.209 (ძველი საკადასტრო კოდი: 01.19.19.005.204), ასევე, ამავე საკადასტრო ერთეულებზე მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ან/და მისგან გამომდინარე საკუთრების ან/და სხვა სახის მოხონის უფლებას. ამასთანავე, ქონების შემძენი უარს ამბობს აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე, სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე (მათ შორის, ზიანის ანაზაურების), საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, ასევე უარს ამბობს აღნიშნულთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე და ასევე, კისრულობს ვალდებულებას, დავის შეწყვეტის მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს/სასამართლოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში“. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პროექტით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეებისათვის განსაზღვრულია ასევე შემდეგი საპრივატიზებო პირობა: მათ მიერ დაკავებული, ზემომითითებული, საბინაო ორდერებით განსაზღვრული ფართები ფაქტობრივად გამოათავისუფლონ და გადასაცენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში). ხელშეკრულების პროექტის 4.4. პუნქტით ასევე, ცნობილი იქნება ქონების შემძენისათვის (უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეებისათვის), რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება არის მშენებარე მდგომარეობაში და მასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებულია „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის“ ხელშეკრულება, (მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტისათვის, შესაბამისი კომპანიების მიერ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ფართები) რომლითაც განსაზღვრულია უძრავი ქონების ფაქტობრივად გადაცემის პირობები, აგრეთვე, ქონების შემძენისათვის ცნობილი არის - უძრავი ქონების თეთრი კარკასის მდგომარეობით გადაცემის

საკითხი. პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ირკვევა შემდეგი სახის ინფორმაცია: § ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 აგვისტოს N01-01212253135 კორესპონდენციით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, აბაშვილის ქუჩა, N3 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე არსებული N01.19.19.005.172 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სათანადო საკადასტრო აზომვითი ნახაზების შესაბამისად გამიჯვნა, სერვიტუტის უფლების რეგისტრაცა და მითითებული საკადასტრო ერთეულის ნაწილის - 47177 კვ.მ უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა, შემდგომში - სკვერის მოწყობის მიზნით; § საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, 2021 წლის 27 სექტემბრის კორესპონდენციით, ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3-ში სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 69716 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ 01.19.19.005.170) და 51331 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ 01.19.19.005.172) გამიჯვნის და გამიჯვნის შედეგად მიღებული 43513 კვ.მ. და 47177 კვ.მ. მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 43513 კვ.მ (ს.კ 01.19.19.005.201) და 47177 კვ.მ (ს.კ 01.19.19.005.204) მიწის ნაკვეთები გადაეცეს მუნიციპალიტეტს, ამასთან, თავდაცვის სამინისტროს წერილით, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.19.005.204 განთავსებულია შენობა გ.გ 115 (ორ ბინიანი კოტეჯი) სადაც ბინა N1 დაკავებული აქვს მოქალაქე კახა მოლარიშვილს (პ.ნ 35001020229) ოჯახის წევრებთან ერთად, ხოლო ბინა N2 დაკავებული აქვს მოქალაქე ზაზა ზაუტაშვილს (პ.ნ 01027033406) ოჯახის წევრებთან ერთად. § ზემოაღნიშნული ღონისძიების თანმდევად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებით (N1/1-5606) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა, სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება; § სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, 2023 წლის 29 ივნისის კორესპონდენციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ეცნობა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია პროექტით წარმოდგენილი, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეების წერილები, რომელთა დაყრდნობითაც, განმცხადებლებს თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის (ს.ს.ნ.) 2004 წლის 18 ოქტომბრის N003/2 და 2004 წლის 18 ოქტომბრის N001/2 ორდერებით გამოეყოთ ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა ს/ქ.3, კორპუსი 115, ბინა N1, ორი ოთახი ფართით 34.0 კვ.მ და ბინა N2, ორი ოთახი ფართით 34.0 კვ.მ., ამასთან, განმცხადებელთა განმარტებით, ხსენებული ბინები წლების განმავლობაში დაკავებული აქვთ ოჯახებთან ერთად და მათ ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნულ ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.19.005.209 (ძველი საკადასტრო კოდი 01.19.19.005.204)) იგეგმება დასასვენებელი სივრცის - სკვერის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლები თანახმა არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონკრეტული ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ უარი თქვან მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ზემოაღნიშნულ ფართებსა და მასთან დაკავშირებულ მოთხოვნის უფლებაზე. ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ეთხოვა პოზიციის დაფიქსირება; § გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, მ/წლის 4 ივლისის წერილით N18-01231853845, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აცნობა, რომ სამსახურსა და შპს „უნივერსალ პროექტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების #03.01/20/132 საფუძველზე მიმდინარეობს სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე (ს.კ.: 01.19.19.005.209) რეკრეაციული სივრცის მოწყობის

პროექტირება. ვინაიდან, მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია პარკის მოწყობა, შესაბამისად სამსახური თანახმაა თქვენ მიერ აღნიშნულ ფართებს, რომლებიც ფაქტობრივად დაკავებული აქვთ საცხოვრებლად, ჩაუტარდეს ადგილმონაცვლეობა; § აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, შესყიდვის ობიექტია, ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე პარკის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის პირობები განსაზღვრულია ტექნიკური დავალებით, რაც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, ხელშეკრულება შეადგენს 261 960.00 (ორას სამოცდაერთი ათას ცხრასს სამოცი) ლარს და ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 26 აპრილიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო, საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების ძალაში შესლიდან 180 (ას ოთხმოცი) კალენდარული დღე. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ანგარიშწორება მოხდებოდა 2022 წლის ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში; § აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, საბანკო გარანტია მოიცავდა 13 098 ლარს (ცამეტი ათასი ოთხმოცდათვრამეტი) ლარს და ძალაში იყო 2022 წლის 20 აპრილიდან 2022 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით; § შესყიდვების ხელშეკრულებაში აღნიშნულია ასევე, რომ პროექტი გათვალისწინებული უნდა იყოს შშმ პირთა გადაადგილებისათვის აუცილებელი პანდუსები, შეღწევადი და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. ამასთან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე განახორციელებს შემსყიდველი, პროექტის განმარტებით ბარათზე დაყრდნობით, სკვერის მოწყობის მიზნით განსაზღვრული პროექტი მოიცავს ტერიტორიას სადაც განთავსებულია - თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური საბინაოსაექსპლოატაციო ნაწილის (ს.ს.წ.) 2004 წლის 18 ოქტომბრის N003/2 ორდერით კახა მოლარიშვილისა და მისი ოჯახისათვის (თამილა მურვანიძე, თამრიკო მოლარიშვილი და ანანო მოლარიშვილი) გამოყოფილი ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა ს/ქ.3, კორპუსი 115, ბინა N1, ორი ოთახი ფართით 34.0 კვ.მ., ხოლო 2004 წლის 18 ოქტომბრის N001/2 ორდერით ზაზა ზაუტაშვილისა და მისი ოჯახისათვის - ქეთევან ზაუტაშვილი, ვახტანგ ზაუტაშვილი და მარიამ ზაუტაშვილი, გამოყოფილი კალოუზნის ქუჩა ს/ქ.3, კორპუსი 115, ბინა N2, ორი ოთახი ფართით 34.0 კვ.მ. აღნიშნული მოქალაქეები პროექტით წარმოდგენილი უძრავი ქონებების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ თმობენ მოთხოვნის უფლება ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებებთან დაკავშირებით, ამასთან, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავ ქონებებს, ოჯახის წევრების მიერ, მოთხოვნის უფლების დათმობით, საკუთებაში მიიღებენ შემდეგი პირები: 1.თამილა მურვანიძე (კახა მოლარიშვილის ოჯახი) - გადაეცემა შემდეგი საკადასტრო ერთეულები: 2. ქალაქი თბილისი, ზურაბ პატარიძის ქუჩა N3, სართული 3, ბინა N10, ფართი: (მშენებარე) 49.40 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.17.07.024.079.01.01.010); 3. ქალაქი თბილისი, ზურაბ პატარიძის ქუჩა N3, სართული 7, ბინა N50, ფართი: (მშენებარე) 49.40 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.17.07.024.079.01.01.050) 4. ქალაქი თბილისი, მასივი III, (ნაკვ. 20/025), სართული 7, ბინა N89, ფართი (მშენებარე): 35.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.080.01.01.089) 5. ქალაქი თბილისი, მასივი III, (ნაკვ. 20/025), სართული 11, ბინა N142, ფართი 50.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.080.01.01.142). 2.ზაზა ზაუტაშვილსა და მარიამ ზაუტაშვილს გადაეცემა შემდეგი: 2. ქალაქი თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟი N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ. ნინუა, N3, სართული 1, ბინა N4, ფართი (მშენებარე): 69.50 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.407.01.01.004); 3. ქალაქი თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟი, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ. ნინუა N3, სართული1, ბინა 4. N6, ფართი (მშენებარე): 79.10 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.407.01.01.006); 5. ქალაქი

თბილისი, ქუჩა სუხიშვილი N7, სართული 9, ბინა N52, ბლოკი „ბ“, ფართი (მშენებარე) 33.40 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.19.39.029.046.01.02.052). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა. § აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის 2023 წლის 10 მარტის N14/8804 წერილის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის მიერ გაცემული ბინის მიღების ორდერები, თბილისის ცენტრალურ არქივში დაცვაზე არ შემოსულა. პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გაღების საჭიროებას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ და საბა ბუაძემ.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03232471-03 04.09.2023)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს N23.1259.1409 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული, ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N18-ში, (ს/კ 01.19.20.017.008) მდებარე, მშენებარე ფართების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები), ავარიული სახლების ჩანაცვლებისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის განვითარების ფონდის“ (ს/ნ 404384974) მიერ ქალაქ თბილისში კალოუზნის ქ. №18-ში ავარიული კორპუსის ჩანაცვლების მიზნით, სახლმწიფო შესყიდვის საშუალებით შერჩეულ მშენებლობის განმახორციელებელი პირისთვის - შპს „ბკ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ 4045537809) (მშენებლობის განმახორციელებელი პირი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად. საპრივატიზებო სფასურად განისაზღვრება ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N18-ში (ს/კ 01.19.20.017.008) ავარიული სახლის ჩანაცვლებისას სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადების დროისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად დადგენილი ღირებულება და აღნიშნული ითვლება გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა, ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032325458-03 11.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა გიორგი კობიაშვილმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონების ცვლილების საჭიროებით. პროექტით იცვლება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-93 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონები (დანართი 2). პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იზრდება მსხვილფეხა ან/ და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვის ფართობი (დანართის სახით წარმოადგენილი რუკის შესაბამისად)

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანი, ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.006, ფართობი - 1 860 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324413-03 01.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ნინო ბაგაშვილმა. კომისიამ იმსჯელა, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.006, ფართობი - 1 860 კვ.მ) მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. 2. დაინტერესებულმა პირმა

ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 962.120,64 (ცხრაას სამოცდაორი ათას ას ოცი და სამოცდაოთხი მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე. 3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა №75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი №14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, №14; ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს №2 და №3 სახლების მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.18.09.002.052, ფართობი - 7149 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324740-03 04.09.2023)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. კომისიამ იმსჯელა, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა N75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი N14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, N14; ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 და N3 სახლების მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.002.052, ფართობი - 7149 კვ.მ) მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.1-დან კ-2=3.0-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. 2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 3,017,345.14 (სამი მილიონ ჩვიდმეტი

ათას სამას ორმოცდახუთი და თოთხმეტი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე. 3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

საკითხზე ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა მისცეს უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა, №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032324741-03 04.09.2023)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. კომისიამ იმსჯელა, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ) მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.0-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. 2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 323,860.00 (სამას ოცდასამი ათას რვაას სამოცი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე. 3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

8. ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქ. N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.112, ფართობი - 668 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032326383-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. კომისიამ იმსჯელა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქ. N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.112, ფართობი - 668 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის (შემდგომში: პროექტი) მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 14 აგვისტოს N01232261795-67 (01232481399-67, 05/09/2023) განცხადებით ქალაქ თბილისში, სესილია თაყაიშვილის ქუჩა N38-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.112) მესაკუთრეებმა (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.19.39.002.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.19.39.002.112 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). საპროექტო საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 მარტის №01.01230762 ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის N6646176 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის

პირველი პუნქტის "ო" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: $k-1=0,5$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: $k-2=2,5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: $k-3=0,3$ მინიმალური ფართობი $600 / 700 * კვ.მ.$ მინიმალური სიგანე $15 / 20 * მ.$ მინიმალური სიღრმე $25 / 30 * მ.$ შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=2,5$ -დან $k-2=4,1$ -მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01232261795-67 (01232481399-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N004809923, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 10 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 462 477 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 295.985,28 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი და ოცდარვა მეასედი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანიშა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი, გლდანის VI მ/რ, მ. ხერგიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.001.023, ფართობი - 2 184 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032326385-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. კომისიამ იმსჯელა, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი, გლდანის VI მ/რ, მ. ხერგიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.001.023, ფართობი - 2 184 კვ.მ)

მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.5-დან კ-2=5.0-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. 2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 330 676.11 (სამას ოცდაათი ათას ექვსას სამოცდათექვსმეტი და თერთმეტი მესამედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების N300073297 სახაზინო კოდზე. 3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას. 4. დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032324414-03 01.09.2023; №12-032324412-03 01.09.2023; №12-03232501-03 07.09.2023; №12-03232511-03 08.09.2023; №12-032326380-03 - 20.09.2023; №12-032326389-03 - 20.09.2023)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032324414-03 01.09.2023; №12-032324412-03 01.09.2023; №12-03232501-03 07.09.2023; №12-03232511-03 08.09.2023; №12-032326380-03 - 20.09.2023; №12-032326389-03 - 20.09.2023) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 26 წინადადება კერძოდ:

№12-032324414-03 01.09.2023;

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.258.006; N01.81.02.258.011; N01.81.02.258.009; N01.81.02.258.010; N01.81.02.258.008 და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე (წინა კოდი: N81.02.03.652)) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე “ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.652) ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2022 წლის 25 ნოემბრის N628 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ამასთან, ვინაიდან, N81.02.03.652 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ზემოაღნიშნული დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში არსებული გამიჯვნის სქემის შესაბამისად გაიმიჯნა ცალკეულ რეგისტრაციებად. რის შედეგადაც, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუაში წარმოიქმნა მცირე ხარვეზები. რეგისტრაციებს შორის წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება. ზონის ცვლილების ფართობი დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად წარმოადგენს 42695 კვ.მ-ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.258.006; N01.81.02.258.011; N01.81.02.258.009; N01.81.02.258.010; N01.81.02.258.008 და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე (წინა კოდი:N81.02.03.652)) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

№12-032324412-03 01.09.2023;

ა) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.060; N01.19.18.003.061) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.19.18.003.060; N01.19.18.003.061 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სამრეწველო ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობის განთავსება. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია სამრეწველო ზონა 2 (ს-2) შესაბამისად ტერიტორია სამშენებლოდ განვითარებულია სამრეწველო ფუნქციით. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მოხდება ტერიტორიის ერთიანი ქალაქგეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინება და ტერიტორიის ჯეროვანი გამოყენება იმ ფუნქციით, რომელიც რელევანტურია მიმდებარე განაშენიანებისათვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს N01232332773 წერილით

სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ფენა რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.18.003.060; N01.19.18.003.061 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.060; N01.19.18.003.061) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

ბ) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.027) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო განიხილავს N01.19.18.003.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 21 აგვისტოს N01232332772 წერილის მიხედვით სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.027) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, დიდმის მასივში, V კვარტალში, კორპუსი 8-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.03.015.013) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. N01.13.03.015.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით

არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 29 აგვისტოს N012324289 წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის ფაქტობრივად არსებულ გზაზე (ტროტუარზე) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენა რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.13.03.015.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდმის მასივში, V კვარტალში, კორპუსი 8-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.03.015.013) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

№12-03232501-03 07.09.2023;

ა) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.068) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა. 2023 წლის 5 სექტემბრის N01232482726 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა. ამასთან, N01.10.18.011.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.068) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N85-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.488) მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის, სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ-3) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N72.16.22.488 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.22.488) მცირე ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სარეკრეაციო ზონა - 3 (რზ-3). ხოლო, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ მასზე სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა ნაწილობრივ შეიზღუდა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მომიჯნავე რეგისტრაციის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.822) ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3), რომელიც ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს. აღნიშნულის ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N72.16.22.822 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა. 2023 წლის 29 აგვისტოს N01232412519 და 2023 წლის 6 სექტემბრის N18-01232491168 წერილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N85-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.488) სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება, ასევე, N72.16.22.822 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, გ. ჭყონდიდელის ქუჩა 87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.136) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. N01.12.12.003.136 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებულია სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), რომელშიც დასაშვებია მხოლოდ სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება საპროექტო ტერიტორია ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, მდებარეობს ცენტრალურ ზონაში (ცზ). ცენტრალური ზონა (ცზ) არის დედაქალაქის ცენტრალური ნაწილი და წარმოადგენს ტერიტორიების ათვისების მაღალის ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიულ ელემენტს. აღნიშნულის გათვალისწინებითა და მიმდებარე განაშენიანების

გათვალისწინებით მიზანშეწონილია ძველი ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მოაწესრიგებს საპროექტო ტერიტორიას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალურ-გეგმაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გ. ჭყონდიდელის ქუჩა 87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.136) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოგასამართ სადგურსა და „ლოჭინი“-ს ხიდს შორის, მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.005.054) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. N01.19.14.005.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სავაჭრო და საგამოფენო შენობა-ნაგებობის განთავსება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით N01.19.14.005.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). 2023 წლის 24 ივლისის N01232053135 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (რზ-1). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და N01.19.14.005.053 საკადასტრო კოდს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.005.053) მიწათსარგებლობის გენერალურგეგმაში ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.14.005.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოგასამართ სადგურსა და „ლოჭინი“-ს ხიდს შორის, მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.005.054; N01.19.14.005.053) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

№12-03232511-03 08.09.2023;

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.13.004.045) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონისა (სზ) და სატყეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.19.13.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უნიკალური სატრანსპორტო სარბოლო ატრაქციონის განთავსება. 2023 წლის 29 აგვისტოს N01232412519 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ N01.19.13.004.035 საკადასტრო ერთულის ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოიქმნება ხარვეზები. აღნიშნული ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატყეო ზონით ცვლილება. ასევე, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) სააგენტოს ინიციატივით, იცვლება N01.19.13.004.045 საკადასტრო ერთულის მცირე ნაწილზე, არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ხარვეზის გასწორების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, 2023 წლის 6 სექტემბრის N61-01232492688 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, აფიქსირებს დადებით პოზიციას საპროექტო საკადასტრო ერთულზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.13.004.045), N01.19.13.004.035 საკადასტრო ერთულის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ), სატყეო ზონის, სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

№12-032326380-03 - 20.09.2023;

ა) ქალაქ თბილისში, იალბუჯის ქუჩა N14; ქალაქი თბილისი, იალბუჯის ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.023, ნაკვეთი 43/017) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად N01.17.13.043.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე

ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ხოლო, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მეტ ფართობზე. ტერიტორიაზე არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) გავრცელებულია ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობით არსებულ შენობა ნაგებობაზე- ტრანსფორმატორზე. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში 2023 წლის 19 სექტემბრის N01232622964 წერილით თანახმაა, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 სექტემბრის N012325735 წერილით ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკის მონაცემების მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ტროტუარის ნაწილზე. ამასთან, განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვნად განვითარების მიზნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრის შემცირებას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით N01.17.13.043.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, იალბუზის ქუჩა N14; ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.023, ნაკვეთი 43/017) ნაწილზე, ასევე, N01.17.13.043.019 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, წნორისწყლის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.050) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. N01.19.20.029.050 საკადასტრო კოდზე შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მოთხოვნილია ნაწილობრივ. საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია შენობა ნეგობის განთავსება შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების დაფარვის არეალში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 5 სექტემბრის N01232483149 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წნორისწყლის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.050) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრეველიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.011.133) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1)

სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. N01.12.12.011.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შ.პ.ს. „ნიკორას“ მიერ ხორცპროდუქტების საწარმოს მშენებლობა უკვე არსებულ „ნიკორას“ საწარმოსთან მიმდებარედ. ერთიანი ლოჯისტიკური სატრანსპორტო მომარაგებისა და პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 6 სექტემბრის N0123249241 წერილის მიხედვით, თბილისის მერიის ერთიანი რუკის მონაცემებისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის დიდ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფენა ფარავს არსებულ შენობა-ნაგებობებს. აღნიშნული საკადასტრო ერთეულის საზღვრებში გავრცელებულ სატრანსპორტო ქვეზონას, ფაქტობრივად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ასევე, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფენის გაუქმება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვნად განვითარების კუთხით. 2023 წლის 30 აგვისტოს N3837 წერილის შესაბამისად ზემოაღნიშნულ რეგისტრაციაზე მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილება „საქართველოს რკინიგზა“-ს ინფრასტრუქტურის მეურნეობის საოპერაციო საქმიანობის განხორციელებას ხელს არ შეუშლის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით N01.12.12.011.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრეველიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.011.133) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, მარნეულის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.006.002) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობას მომართა ფონიჭალაში სურგულაძის ქუჩაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ N01.18.13.006.002 საკადასტრო კოდზე მდებარე მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო სივრცისა და ავტობუსის გაჩერების მოწყობის თხოვნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ მომართვის მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული სკვერის მოწყობისთვის სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 18 სექტემბრის N01232611359 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 სექტემბრის N01232623123 წერილით shp.-ის შესაბამის მონაკვეთზე ფუნქციური ზონის

ცვლილება არ არის მიზანშეწონილი. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ N01.18.13.006.002 საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელების მოთხოვნის არეალის მიღმა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ნაცვლად გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით N01.18.13.006.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიღმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარნეულის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.006.002) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელება ამასთან, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.016.207) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს N01.19.37.016.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 სექტემბრის N0123262358 წერილის მიხედვით, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის არ მოხდება მისასვლელი გზის შეზღუდვა. *სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, მითითებული ზონის ცვლილება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნას.*

ვ) ქალაქ თბილისში, ჩიქვანაიას ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.041) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. N01.11.04.005.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის, ასევე ხანდაზმულთა მიღებაზე გათვლილი სასტუმრო/პანსიონატი (საცხოვრისი(ები)/თავშესაფარი(ები) მშენებლობა. „სახელწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ - სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრ აისისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 14 ნოემბრის №2107 განკარგულების საფუძველზე ა(ა)იპ - სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრ „აისს“ საკუთრებაში გადაეცა N01.11.04.005.041 საკადასტრო ერთეული მასზე ხანდაზმულთა მიღებაზე გათვლილი სასტუმრო/პანსიონატი (საცხოვრისი(ები)/თავშესაფარი(ები) მშენებლობის მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 19 სექტემბრის N01232622941 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა,

საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით N01.11.04.005.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიღმა არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (N01.11.04.005.029, N01.11.04.005.195, N01.11.04.005.038 და N01.11.04.005.134-ის ნაწილზე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიები რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩიქვანაიას ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.041), ასევე, მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (N01.11.04.005.029, N01.11.04.005.195, N01.11.04.005.038 და N01.11.04.005.134-ის ნაწილზე) საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია;

№12-032326389-03 - 20.09.2023

პროექტის მიხედვით, კორექტირება შეეხო დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით 2, 3 და 4 სექტორებს. აღნიშნული სექტორები გაერთიანდა ერთ (N2) სექტორად, შეიცვალა შენობათა განთავსება და სართულიანობა, კერძოდ: შეიცვალა N4 სექტორში 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლი იცვლის კონფიგურაციას და შემცირდა 20 სართულამდე, გაიზარდა N3 სექტორში არსებული 7 სართულიანი საცხოვრებელი 9 სართულამდე და დაემატა მდ. ვერეს ხეობის მხარეს ცალკე მდგომი 2 სართულიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. ფუნქციური გადაწილება: საზოგადოებრივი 13 % საცხოვრებელი 87 %. აღნიშნულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის და მისი საანგარიშო ფართობის ცვლილება, თუმცა, ვინაიდან დაემატა ახალი შენობა გაიზარდა კ-1 კოეფიციენტი 0,3-დან 0,4-ამდე, რაც ჯდება ზონით დადგენილ 0,5-ში. ასევე, გაფართოვდა დანელიას ქუჩა, გაიზარდა ავტოსადგომების რაოდენობა, რომლის ნაწილიც განთავსებულია დანელიას ქუჩის გასწვრივ, რომელსაც განესაზღვრება საჯარო სარგებლობის სერვიტუტი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები სექტორების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N568 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად: N1 სექტორი - 11 760 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,3 - 3 200 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 33 000 კვ.მ. 24 სართული კ-3 = 0,1 - 1 370 კვ.მ. საზოგადოებრივი - 13% საცხოვრებელი - 87 % N2 სექტორი - 24 031 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,4 - 9 430 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 67 200 კვ.მ. 2, 9, 14, 20 სართული კ-3 = 0,3 - 6 700 კვ.მ. საზოგადოებრივი - 13% საცხოვრებელი - 87 % ჯამური მონაცემები - 35 791 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,4 - 12 630 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 100 200 კვ.მ. კ-3 = 0,2 - 8 070 კვ.მ. საზოგადოებრივი - 13% საცხოვრებელი - 87 % ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N568 განკარგულებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შემდგომ, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა N01230312518-67 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო მიწის ნაკვეთების დაყოფის დადასტურება თითოეული შენობა-ნაგებობისათვის ცალ-ცალკე, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების გარეშე. ვინაიდან, არ იცვლებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დადგენილი განაშენიანება, სიმაღლე, სართულიანობა და ფუნქციური დანიშნულება N16- 01230341061 წერილით, სააგენტომ დააკმაყოფილა N01230312518-67 განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა. შესაბამისად, საპროექტო არეალი დაიყო 5 სექტორად და სათითაოდ განესაზღვრა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. დაზუსტდა კ-1, კ-2, კ-3 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები, ხოლო, მათი მაჩვენებლები დარჩა უცვლელი. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდა ტერიტორიის დაყოფა და მშენებლობის ნებართვების გაცემა. ასევე, დაზუსტდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციების განაწილება, გაიზარდა საზოგადოებრივი ფუნქცია 13%-დან 18%-მდე. N16-01230341061 გადაწყვეტილების შესაბამისად გამიჯნული მიწის ნაკვეთებისათვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: N1 სექტორი - 11 760 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,3 - 3 200 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 33 000 კვ.მ. 24 სართული კ-3 = 0,1 - 1 370 კვ.მ. საზოგადოებრივი - 13% საცხოვრებელი - 87 % N2A სექტორი - 11 837 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,3 - 3 550 კვ.მ. კ-2 = 2,2 - 26 250 კვ.მ. 14 სართული კ-3 = 0,3 - 3 200 კვ.მ. საზოგადოებრივი - 25% საცხოვრებელი - 75 % N2B სექტორი - 1 887 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,7 - 1 300 კვ.მ. კ-2 = 1,0 - 1 850 კვ.მ. 2 სართული კ-3 = 0,3 - 600 კვ.მ. საზოგადოებრივი - 100% სპორტულ გამაჯანსაღებელი - საცურაო აუზი N2C სექტორი - 5 012 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,5 - 2 700 კვ.მ. კ-2 = 3,3 - 16 500 კვ.მ. 9 სართული კ-3 = 0,2 - 850 კვ.მ. საზოგადოებრივი - 11% საცხოვრებელი - 89 % N2D სექტორი - 5 295 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,5 - 2 550 კვ.მ. კ-2 = 4,3 - 23 000 კვ.მ. 20 სართული კ-3 = 0,3 - 1 350 კვ.მ. საზოგადოებრივი - 15% საცხოვრებელი - 85 % ჯამური მონაცემები - 35 791 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,4 - 13 300 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 100

600 კვ.მ. კ-3 = 0,2 - 7370 კვ.მ. საზოგადოებრივი - 18% საცხოვრებელი - 82 % N01232562936-67) განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, კორექტირება ეხება N01.14.06.006.160 საკადასტრო ერთეულს, 2B ბლოკს, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილია 2 სართულიანი, 5 მეტრის სიმაღლის სპორტულგამაჯანსაღებელი შენობა-ნაგებობის განთავსება (საცურაო აუზი). კორექტირებული პროექტით იზრდება მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრამდე. სართულიანობა რჩება იგივე - 2 სართული. არ იცვლება ფუნქციური დანიშნულება, არც შენობათა განთავსება. ასევე უცვლელი რჩება N16-01230341061 გადაწყვეტილების შესაბამისად გამიჯნული მიწის ნაკვეთებისათვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები, ფუნქციური განაწილება. საპროექტო პარამეტრები: N1 სექტორი - 11 760 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,3 - 3 200 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 33 000 კვ.მ. 24 სართული კ-3 = 0,1 - 1 370 კვ.მ. საზოგადოებრივი - 13% საცხოვრებელი - 87 % N2A სექტორი - 11 837 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,3 - 3 550 კვ.მ. კ-2 = 2,2 - 26 250 კვ.მ. 14 სართული კ-3 = 0,3 - 3 200 კვ.მ. საზოგადოებრივი - 25% საცხოვრებელი - 75 % N2B სექტორი - 1 887 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,7 - 1 300 კვ.მ. კ-2 = 1,0 - 1 850 კვ.მ. 2 სართული კ-3 = 0,3 - 600 კვ.მ. საზოგადოებრივი - 100% სპორტულ-გამაჯანსაღებელი - საცურაო აუზი N2C სექტორი - 5 012 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,5 - 2 700 კვ.მ. კ-2 = 3,3 - 16 500 კვ.მ. 9 სართული კ-3 = 0,2 - 850 კვ.მ. საზოგადოებრივი - 11% საცხოვრებელი - 89 % N2D სექტორი - 5 295 კვ.მ - სზ-6 კ-1= 0,5 - 2 550 კვ.მ. კ-2 = 4,3 - 23 000 კვ.მ. 20 სართული კ-3 = 0,3 - 1 350 კვ.მ. საზოგადოებრივი - 15% საცხოვრებელი - 85 % ჯამური მონაცემები - 35 791 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,4 - 13 300 კვ.მ. კ-2 = 2,8 - 100 600 კვ.მ. კ-3 = 0,2 - 7370 კვ.მ. საზოგადოებრივი - 18% საცხოვრებელი - 82 % ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

23. ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326393-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ტაბახმელა, სოფელი ტაბახმელაში თბილისი-კოჯორის გზატკეცილზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი:

N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორიის ნაწილი მოქცეულია გეგმარებით კარკასში, ნაწილი კი პერიფერიულ ზონაში. ტერიტორიის ჩრდილოეთით ვრცელდება მდინარის წყალდაცვითი ზონა, რომელიც ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და მცირედზე სარეკრეაციო ზონა (რზ-1); დანიშნულების მიხედვით ტერიტორია განვითარდება მოქმედი საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ით და სატრანსპორტო ზონა 1 (სზ-1)-ით. ტერიტორიაზე იგეგმება 35 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და 1 საავტომობილო გზის მოწყობა, ასევე საპროექტოდ გათვალისწინებულია მიწის ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით და ჩრდილოეთით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1). შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 32, 094 კვ.მ. კერძო საკუთრება: 28 100 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი: 3 993 კვ.მ საპროექტო გამიჯვნის რაოდენობა: 36 საპროექტო შენობების რაოდენობა: 35 საცხოვრებელი ნაკვეთის ფართი 22 651 კვ.მ. კვ.მ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის: 8 831 კვ.მ გამწვანებული ტერიტორიები და სკვერი რზ-1: 612 კვ.მ განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5 განაშენიანების ინტენსიობისკოეფიციენტი: კ-2=0,8; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,4; შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 12 სექტემბრის N01232552863 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში N81.02.03.575, N81.02.03.577, N81.02.03.578, N81.02.03.582, N81.02.03.583, N81.02.03.943 საკადასტრო ერთეულებზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის N01232582189 წერილის შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 26 ივლისის N61- 01232071210 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მიენიჭოს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და განვითარდეს ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 7 სექტემბრის N61-01232503321 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხაზობრივი ნაგებობების გადატანა განხორციელდეს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი

N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

24. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326392-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/012-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.134; N01.14.06.006.135; N01.14.06.006.137; N01.14.06.006.140; N01.14.06.006.141; N01.14.06.006.136; N01.14.06.006.138; N01.14.06.006.139; N01.14.06.006.143; N01.14.06.006.144; N01.14.06.006.145; N01.14.06.006.142). საპროექტო ფართობი: 62 115 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), გამწვანებული ტერიტორიების ფენით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); აღნიშნულ ტერიტორიაზე გეგმარებითი დავალება დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით და გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) განვითარება. ხოლო განაშენიანების რეგულირების გეგმა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით. წარმოდგენილი ცვლილების პროექტით დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით განვითარება, იცვლება შენობა-ნაგებობათა განთავსების არეალები, სართულიანობა, საპროექტო გამიჯვნის სქემა და საპროექტო მოცულობა, მცირდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი, კ-2 განისაზღვრა - 3,0 (186 091კვ.მ)-ით, ხოლო შეთანხმებულ გეგმარებით დავალებაში კ-2 განსაზღვრული იყო 3,1 (194859კვ.მ). საპროექტო ტერიტორია იმიჯნება 8 საპროექტო ნაკვეთად, ნაცვლად 13 ნაკვეთისა. ცვლილება არ ეხება საცხოვრებელი და საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციების გადანაწილების

პროცენტულობას და რჩება იგივე 75%-25%. გეგმარების ნაწილში მოხდა ცვლილებები, უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ სართულიანობა ნაცვლად 12- ისა გახდა 3 - 4 მიწისზედა სართული. საპროექტო გადაწყვეტით მოეწყო უნივერსიტეტის ქუჩის პარალელური გზა, რომლის ჩრდილოეთ მხარეს სრულად კომერციული შენობები განთავსდება, ხოლო სამხრეთ ნაწილში პირველი 3 სართული იქნება კომერციული, აღნიშნული შენობების მაქსიმალური სართულიანობა იქნება 8 მიწისზედა სართული. საპროექტო გადაწყვეტით კომერციული ფართების ქვემოთ მოეწყო მიწისქვეშა ავტოსადგომები. ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში გაუქმდა კომერციული სივრცეებისთვის გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები და მათ ნაცვლად ეწყობა სრულად საცხოვრებელი შენობები, მაქსიმალური სართულიანობით 22. ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში 32 სართულიანი შენობა-ნაგებობის ნაცვლად ეწყობა 2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მაქსიმალური სართულიანობით 12 და 18 მიწისზედა სართული. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ცენტრალური სკვერის შენარჩუნება, ფართობით - 9625კვ.მ. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ჯამური ფართობი: 62 115 კვ.მ. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – (ფართობი 58049 კვ.მ); მთლიანი არეალის ჯამური კოეფიციენტები დადგენილია შემდეგნაირად: განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,3; განაშენიანების ინტენსიობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: კ-2=3,0 (არაუმეტეს 186 091კვ.მისა); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3; ჯამური საცხოვრებელი ფართობი 139 568 კვ.მ; ჯამური კომერციული ფართი 46 523 კვ.მ; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი კვ - 18635კვ.მ; სადაც შენარჩუნებული იქნება სკვერისთვის გამოყოფილი ტერიტორია ფართობით - 9625კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 4066კვ.მ; მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს ნორმატიულად დადგენილი რაოდენობის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, არაუმეტეს 531 ადგილისა. მიწისქვეშა ავტოსადგომების რაოდენობა დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ეტაპზე მოქმედი კანონმდებლობით. არსებული ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), ძალიან მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს N01232372808 წერილის (N01232512942; 08.09.2023) შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 12 სექტემბრის N01232552470 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანიმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

25. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326391-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.41.077; N81.02.41.076; N81.02.41.082; N81.02.21.276; N81.02.41.078; N81.02.41.079; N81.02.41.080; N81.02.41.081; N81.02.21.332; N81.02.41.075). წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით კორექტირება ეხება მხოლოდ N81.02.21.332 საკადასტრო ერთეულს, ფართობით 1300 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ეხება კორექტირება (საკადასტრო კოდი: N81.02.21.332) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. შემოთავაზებული ცვლილების პროექტის მიხედვით, კორექტირება ეხება მხოლოდ N81.02.21.332 საკადასტრო ერთეულს, კერძოდ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N81.02.21.332) იმიჯნება 2 ნაკვეთად: ნაკვეთი N9 - 600 კვ.მ. და ნაკვეთი N9 1 - 700კვ.მ. აღნიშნულ ნაკვეთებზე დაგეგმილია ერთი ერთბიანიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისი პარამეტრებით: ფუნქციური ზონა-საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), კ-1- 0.5; კ-2-0.8; კ-3-0.4; შენობა-ნაგებობის სართულიანობად განსაზღვრულია მაქსიმუმ 3 სართული. ნაკვეთი N9-ს მისასვლელი გზა ექნება დასავლეთის მხრიდან, ხოლო, ნაკვეთი N9 1 -ს - ვინაიდან, არის კუთხის ნაკვეთი მისასვლელი გზა ექნება ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. მიწის ნაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: ნაკვეთი N9 - 600კვ.მ; ნაკვეთი N9 1 - 700კვ. მ. ფუნქციური ზონირება რჩება უცვლელი. არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) კოეფიციენტები რჩება უცვლელი. სზ-1 კ-1-0.5; კ-2-0.8; კ-3-0.4; შენობა-ნაგებობის ფუნქცია რჩება უცვლელი და იქნება ინდივიდუალური ერთბიანიანი

საცხოვრებელი სახლი; შენობა-ნაგებობის სართულიანობა - მაქსიმუმ 3 სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 სექტემბრის N0123257745 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად „ქალაქ თბილისში, ტახახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

26. ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326388-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია, რომელსაც ეხება წარმოდგენილი კორექტირება მდებარეობს ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.10.18.009.935 - 600 კვ.მ, N01.10.18.009.934 - 600 კვ.მ, N01.10.18.009.936-ის ნაწილი - 527 კვ.მ). საერთო ფართობით 1727 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა და მცირედით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის ბოლო კორექტირება განხორციელდა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N212 განკარგულებით. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტით ხდება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (ს/კ: N01.10.18.009.935, N01.10.18.009.934 და N01.10.18.009.936-ის ნაწილი - ჯამური ფართობით 1727 კვ.მ), დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალიდან ამოღება. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში შემავალი სხვა ნაკვეთები და მაჩვენებლები რჩება უცვლელი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 12 სექტემბრის N61-01232552684 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.18.009.935; N01.10.18.009.934 და N01.10.18.009.936 (ნაწილი) საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები ამოღებულ იქნეს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალიდან. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, "ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

27. ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკი, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032326387-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკი, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16- ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ფართობი: 8354 კვ.მ., აქედან დაურეგისტრირებელი - 3154 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), რაზედაც მოეწყობა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები; შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) - 8 354 კვ.მ; სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) - 7; სულ მიწის

ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 9; შენობების რაოდენობა - 7; შენობა-ნაგებობების მინ. და მაქს. სართულიანობა - 1-3 საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სზ-1 კ1-0.5, კ2-0.8, კ3-0.4 რზ-2 კ1-0.2, კ2- , კ3-0.8 ტზ-1 კ1- , კ2- , კ3-0.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 24 აგვისტოს N01232362282 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 12 სექტემბრის N01232551313 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 27 აპრილის N61- 01231172453 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკი, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ლილე ლიპარტელიანმა ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

28. 'ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032326386-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670). ნაკვეთების ფართობი: 38 804 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სოფელ წავკისში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო არეალის დასავლეთით და ჩრდილოეთით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება

ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). პროექტის დაგეგმვის მიზანია ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების შესაბამისად და შეიქმნას ახალი, მოწესრიგებული, სამშენებლო ნორმების შესაბამისად დაგეგმარებული ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტერიტორია განვითარდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (სზ-1). საპროექტო ტერიტორია გაიმიჯნება 36 ნაკვეთად. 34 ნაკვეთზე იგეგმება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, 1 ნაკვეთზე სარეკრეაციო სივრცის და 1 ნაკვეთზე საავტომობილო გზის მოწყობა. ასევე, საპროექტოდ გათვალისწინებულია მიწის ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა - 3 (რზ-3) იცვლება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ით და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 38 804 კვ.მ. კერძო საკუთრება: 38 804 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა: 36 საპროექტო შენობების რაოდენობა: 34 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - 1 საერთო სარგებლობის რეკრეაციული სივრცე -1 (1 500 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ჯამური ფართი: 34 211 კვ.მ. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის: 4 593 კვ.მ სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ის რეგლამენტები: განაშენიანების კოეფიციენტი: $k-1=0,2$ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: $k-2$ მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: $k-3=0,8$ შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3); ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ); საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის N01232611344 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 სექტემბრის N01232571434 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი წავეკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

29. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/ნ 205584820) მიმართ მისამართზე: - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ: N01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ) - მდებარე

სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032326390-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/ნ 205584820) მიმართ მისამართზე: - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ: N01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის N 23.1404.1533 განკარგულების საფუძველზე. კომისიამ იმსჯელა, მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/ნ 205584820) მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების (N157, 11.04.2023) ფარგლებში, წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში (N19/01232361028-01, 24.08.2023; N19/01232513111-01, 08.09.2023), მისამართზე - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ: N01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე მიჯნის ზონის დაუცველად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

30. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. (საკრებულოს №12-032326390-03 - 20.09.2023)

საკითხი წარმოდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე

მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის N23.1415.1532 განკარგულების საფუძველზე კომისიამ იმსჯელა, მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში (N10/01230513605-01, 20.02.2023; N10/0123223953-01, 11.08.2023) მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ.06/037) არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 01.19.20.006.135, დაზუსტებული ფართობი - 5276 კვ.მ) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 4.4 - დან 4.6 - მდე; ბ) შპს „არქი ვარკეთილი“-მ (ს/ნ 405247754) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 122,067.45 (ას ოცდაორი ათას სამოცდაშვიდი და ორმოცდახუთი მეასედი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ 204460957), შპს „მარიჯანი (ს/ნ 205064712), შპს „გეთივეი ჰოლდინგი“ (ს/ნ 204531499), შპს „დაკვიდებული ბალები“ (ს/ნ 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/ნ 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/ნ 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; გ) შპს „არქი ვარკეთილი“-მ (ს/ნ 405247754) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; დ) შპს „არქი ვარკეთილი“-მ (ს/ნ 405247754) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც

დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე; ე) შპს „არქი ვარკეთილი“-მ (ს/ნ 405247754) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ.06/037) (ს/კ: 01.19.20.006.135, დაზუსტებული ფართობი - 5276 კვ.მ) არსებული უძრავი ქონების თანამესაკუთრეთა თანხმობები, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ; ვ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, და ნინო წულაძემ, ლილე ლიპარტელიანმა მისცა უარყოფითი შეფასება.

ხმათა უმრავლესობით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რ. სოხაძე

რევაზ სოხაძე